ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3528553

ნომერი: AR1536299

თარიღი : 01.09.2017

გაცემის თარიღი : 11.09.2017

გაცნობის თარიღი : 11.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სარაჯიშვილი , N 7ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კირილე მორჩილაძე პ/ნ 01010006347
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ მ/რ კორპ.5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 2 მაისის №3236735 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017

წლის 1 სექტემბერს №AR1479148 განცხადებით მომართა კირილე მორჩილაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 2 მაისის №3236735 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 2 მაისის №3236735 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა სარაჯიშვილი , N 7ბ, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.10.10.004.055), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. სამსახურის 2017 წლის 11 აგვისტოს №3468811 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, სარაჯიშვილის ქუჩა , N 7ბ, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.10.10.004.055), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 11 აგვისტოდან 2020 წლის 11 აგვისტოს ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2017 წლის 2 მაისის №3236735 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელი ფართობის ნაცვლად 1109.9 კვ.მ-ისა 1434.6 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 323.8 კვ.მ-ის ნაცვლად 324.4 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 804.4 კვ.მ-ის ნაცვლად 842.2 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 224.2 კვ.მ-ის ნაცვლად 235.8 კვ.მ-ის, შესაბამისად საერთო ფართობად 2510.7 კვ.მ-ის ნაცვლად 2885.4 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა სათანადო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მაჩვენებლები შეესაბამება სამსახურის 2017 წლის 2 მაისის №3236735 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და განმცხადებლის მოთხოვნა აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 2 მაისის №3236735 ბრძანებაში, კერძოდ, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი 1434.6 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 324.4 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი 842.2 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 235.8 კვ.მ და საერთო ფართობი 2885.4 კვ.მ.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 2 მაისის №3236735 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.